

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტ სასწავლო კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სადოქტორო სემინარებს (დარგში და ქვედარგში) შესრულებას, რომლის ათვისების შემდეგ დოქტორანტი აგრძელებს მუშაობას სადოქტორო ნაშრომზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი ცოდნა, რომლის გამოყენებით შეუძლია განახორციელოს თანამედროვე, უახლეს მეთოდოლოგიებზე დამყარებული ორიგინალური, ინოვაციური კვლევები ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში (ფინანსებში, მენეჯმენტში, მარკეტინგში, საბუღალტრო აღრიცხვასა და გადასახადებში) ცოდნის არსებული ფარგლების გაფართოების მიზნით. ხელი შეუწყოს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელს რთული და წინააღმდეგობრივი იდეების დამოუკიდებლად გადალახვასა და შესაბამისი მიდგომების შემუშავებაში. უზრუნველყოს დოქტორანტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ მოპოვებული ცოდნის ეფექტური და შესაბამისი ფორმით წარდგენა; პროგრამა ამზადებს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული სფეროს ექსპერტებს, რომელთაც შეეძლებათ მეცნიერული მიდგომებით რეგიონში, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ბიზნეს და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების კვლევა.
სწავლის შედეგები	კურსდამთავრებულს აქვს: -ბიზნესის ადმინისტრირების და მის ძირითად ფუნქციონალურ სფეროებში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ასევე ცოდნა ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებების მომიჯნავე სფეროებში, რის საფუძველზეც მას შეუძლია სრულფასოვნად აწარმოოს თეორიული ან გამოყენებითი კვლევა; შეუძლია -საკვლევი სფეროს შესაბამისი ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებითა და გამოყენებით ახალი ცოდნის შექმნა; ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა. ახალი ცოდნის სანდოობის დადასტურება სამეცნიერო პუბლიკაციებში; -საკვლევი თემატიკის ირგვლივ წარმოადგინოს რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მოვლენების კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული, მრავალმხრივი შეფასება; მოახდინოს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე კონცეფციების, მიდგომების თანმიმდევრული ანალიზი, სინთეზი კვლევის ინოვაციური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების მიზნით; -ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში შეუძლია ხელი შეუწყოს ტექნოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ წინსვლას;
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს

	<p>უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი: რეზო მანველიძე, პროფესორი. ტელ: 577461346; e-mail: manvelidze.revaz@bsu.edu.ge</p>